ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4089608

ნომერი: AR1616156

თარიღი : 16.07.2018

გაცემის თარიღი : 26.07.2018

გაცნობის თარიღი : 26.07.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 44;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ხარაბაძე პ/ნ 01024012886
- თბილისი საირმის ქ. კორ. 11 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1616156 განცხადებაზე №4077260 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან გამოსწორებულ იქნა, თუმცა ახალი დოკუმენტაციით გამოვლინდა ახალი გარემოება, კერძოდ:

- საპროექტო მიწის ნაკვეთზე 25.09.2015 წ. № 2207774 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი და 22.10.2015 წ. № 2253583 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 27.02.2015 წ. № 1141 ბრძანებით მოხდა კ2 კოეფიციენტის მომატება, რაც შეთანხმებული პროექტის მიხედვით ათვისებულია სრულად და დამატებით ახალი შენობის (კომერციული) განთავსება მოითხოვს მისი ფართის შეყვანას მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2–ის საანგარიშო ფართობში რაც შეუძლებელია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) სრულად არის ათვისებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.